ცნობის ფურცელი

VI Წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კარასკევი, 2 თებერვალი № 1372

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ერთეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ТЕЛЕФОНЪ № 372.**

კვირას, 4 თებერვალს, გელათის მონასტერში იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

გაბრიელ ეპისკოპოსის

სულის მოსახსენებლად, რომლის საფლავზე დაიდგმება ახალი სახატე. (1—1)

„მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ტფილისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის დროს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომწერთათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

„ცნობის ფურცელი“ ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 4 თებერვალს 1901 წ.

კოტე მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება 3 მოქმედ. კომედია

მადამ-სან-ჟენ

ეფემია მესხის მონაწილეობით

და ერთ მოქ. კომედია

დედის ერთა

მ. საფაროვისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.

ტფილისის ვერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ყოველ-მოფეს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 სათამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და ტვინის ბრბოს ელექტრონით—9—10 ს.

ნ. ს მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 სათამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი—10—2 სათამდე.

ს. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბაგშებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—12—1 სათამდე.

�d. მარკეზიჩი სდასტაქრო/₂—— 12 ¹/₂ 1¹/₂ სათამდე, სამშაბათობით 3—4 სათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და სასქესოსი—1¹/₂—2 სათამდე.

მ. ბ. ბეზარგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 სათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ.. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 სათამდე.

ს. ს. ბელოგლოვი.—შინაგანი (სტეთოსკოპი ავთომეთოდობანი) და ბიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.—5—6 სათაზე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვერანტოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(ფდ.) მიხეილ გედევანიშვილი

მთავრობის განკარგულებანი

უმაღლესი ბრძანება სასულიერო უწყებას:

სასულიერო აკადემიის კანდიდატი ნ ა მ ო ტ ა ძ ე დაინიშნა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების კრების გამო

„კახეთის“ საზოგადოებას თურმე მრავლისაგან მრავალი მტერი ჰყოლია და იგი გულის ფანცქალით ელოდა კრებას. ეგონა, ჩვენგან გავრცელებული ყველა ჭორი ხორცს შეისხამს, გაიზრდება, კრებას საზოგადოებიანად გადასთელავს და ჩვენ კოლო-პორტი რაიმე გვერგებაო. ყველაზე საიმედო ჭორებად სთვლიდნენ: 1) ღვინო მიაქვთ და ღვინის ფულს კი არ აძლევენ ღვინის პატრონს დროზედაო; 2) დაფასებაში ცუღლუტობენ: იმათ უნიშნავენ დიდ ფასებს, ვისიც ან ეშინიანთ, ან ხათრი აქვთო; 3) ანგარიშში ატყუებენ: ერთხელ გამოსაკლებს ყოველ წელიწადს ურისხავენ და საწყალ მევენახეთ ვერ გაუგიათო; 4) ღვინოს ნისიათ ისეთ კაცებს აძლევენ, რომლებიც საზოგადოებას აღარას უბრუნებენო და სხვ. მაგრამ, სამწუხაროდ ჭორების გამავრცელებელთა, მათმა ჭორებმა ნაყოფი ვერ გამოიღო. აღმოჩნდა, რომ არა თუ წევრებს ღვინის ფული ურიგდებათ, არამედ მეტიც მიაქვთ და ეს მეტობით წაღება კი ხდება საქმის გამგეთაგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზის გამო. ამ წარსული წლის მოსავლისა გამგეობას წევრთათვის დაურიგებია 81,804 მან. 07 კაპ. და ჰმართებია 9811 მან. 96 კაპ.; საზოგადოებისა წინა წელიწადს დარჩომილა წევრებზე მაოგან მეტი წაღებული 19,000 მან.; გამოდის, რომ გამგეობას წევრებისა ჰმართებს 9811 მან. 96 კაპ., ხოლო წევრებს გამგეობისა ჰმართებთ 19,000 მან.; იმ წევრებს, რომელთაც ემართათ 19,000 მანეთი, რომ გამგეობისათვის დროზე გადაეხადნათ, გამგეობა სავსებით დაურიგებდა 9811 მან. 96 კაპ. იმ წევრებს, რომლებსაც ერგებოდათ შარშანდელი მოსავლისა და ერთი ამოდენა ფული კიდევ დახლში შერჩებოდა საქმის საწარმოებლად. მაგრამ ეს არ მოხდა და ამიტომ დაწესებულება სავსებით ვერ გაუსწორდა ყველას. დაწესებულებაა ამაში ბრალდებული, თუ ის წევრნი, რომელთაც არ დაუბრუნეს დაწესებულებას მეტობით წაღებული ფული? თანახმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, გამგეობა მოვალე ყოფილა წევრთა შესატანი სარგებელი სთავად-აზნაურო ბანკში და სახელმწიფო ბანკში თავ-თავის დროს შეეტანა. შესატანი ვადები კი უფრო წინ უსწრობენ ღვინის მოსავლის რაოდენობის აღნუსხვას და მის დაფასებას. ხშირად მომხდარა, რომ მემამულეს არ მოსვლია იმდენი ღვინო, რამდენიც აანაზღაურებდა მასზე დანახარჯს და იგი მასზე ვალად დარჩენილა. დაწესებულებას გაჭირვებული წევრები რომ არ აღმოსჩენოდა, ის ერჩივნა, მაგრამ რაკი აღმოჩნდნენ, ყველანი მოვალენი არიან უშველონ და ამ ყველაში, თქმა არ უნდა, შველა იმათ შეუძლიანთ, ვისაც საშველი იარაღი ხელში უკავიათ. ამიტომ არ უნდა გაუკვირდეს ვისმეს, რომ ეს 9811 მან. 96 კაპ. ეკუთვნოდეს ყველას კი არა, მარტო იმათ, ვისაც უფრო მეტი ძალ-ღონე აქვს. თუ ვინმე იტყვის, რომ სავაჭრო დაწესებულებაში ეგ არ შეიძლებაო, ჩვენ ვერ დავეთანხმებით: ჯერ ერთი, რომ თვით ვაჭრებიც ასე მოიქცეოდნენ ამისთანა შემთხვევაში, და მეორე, რომ თუნდა ვაჭრები, ვთქვათ, ასე არ მოიქცეოდნენ, ეს განა გასამართლებელი საბუთია კოოპერატიულ დაწესებულებისათვის? ესეც რომ არ იყოს, განა დაწესებულება მოვალეა წლის განმავლობაში უეჭველად დაუთვალოს წევრს იმ ღვინის ფასი, რომელიც ჯერ არ არის გაყიდული? ამხანაგობას წლის დამდეგს ჰქონია ძველი ღვინო 35,532 ვედრო. ახალი მიუღია 37129 ვედრო. დარჩენია წლის გასულს 36,396 ვედრო. რა-თქმა უნდა, ამ გასასყიდ ღვინოში დიდი ნაწილი ახლად მიღებული ღვინოა. თუ ეს ასეა, რაღა დასამდურავია დაწესებულება, როცა 91,616 მან. 03 კაპ. ღვინის ფასიდან მისაცემი დარჩომილა მარტო 9811 მან. 96 კაპ.

86 წევრში მარტო ერთი წევრი აღმოჩნდა მომჩივარი დაფასებისა. ჯერ საქმე არ არის კარგად გამოძიებული და ის კი ცხადია, რომ დაწესებულება აქაც ბრალ ახდილია: დამფასებელ კომისიის წევრებს თვით საზოგადო კრება ირჩევს ერთი წლის ვადით. ამათ 86 მარანი უნდა გაშინჯონ, თვითეულში 4 ქვევრზე ნაკლები ხომ არ იქმნება. 400 მეტი ქვევრი ღვინის გაშინჯვა და მისი ფასის დადება შეუცდომლად შეუძლებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს. თუ ამოდენა საქმეში ერთი ან ორი შეცდომა მოუვა დამფასებელ კომისიას, ეს არ დაამცირებს მის ღირსებას. საქმე იმაშია, კომისიას ღალატი არ შეეტყოს, თორემ უნებური შეცდომა არაფერია.

რაც შეეხება ანგარიშში მოტყუებას, ეს აშენებულია თვით ანგარიშის გაუგებრობაზედ. ვისაც-კი მიუმართავს გამგეობისათვის, ყველა დაკმაყოფილებული დაბრუნებულა.

ღვინის ნისიათ გაცემა წვრილ ვაჭრებზედ ჩვეულებრივი მოვლენაა. დიდი ვაჭარი წვრილ ვაჭრებს ნისიად აძლევს საქონელს. ყველა ვაჭრობაში მომხგდარა, რომ ათასში ერთს წვრილ მოვაჭრეს ვეღარ დაებრუნებინა ნისიად წაღებული, მაგრამ ამისათვის ნისიად გაცემა არავის მოუსპია, „მგლის შიშით ცხვარი არავის გაუწყვეტნია“.

როგორც ზემორე ნათქვამიდან დაინახავდა მკითხველი, კახეთის მევენახეთა საზოგადოების საქმე ისე არ ყოფილა, როგორც მის მტრებს ჰსურვებიათ. საჭიროა გაიგოს კაცმა საიდან მომდინარეობს ეს მტრობა? საქართველოს ყველა ქალაქებში მრავალი ღვინით მოვაჭრეა, აქედან ესენი გავრცელებულან კავკავისაკენ, პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში და სხვა რუსეთის ქალაქებში. ეს ამოდენა აუარებელი ღვინით მოვაჭრენი გაიძახიან, რომ კახურ ღვინოს ვყიდითო. ნამდვილად-კი ოც ღვინით მოვაჭრეში ერთი ძლივს ყიდულობს კახეთში ღვინოსა და ეს ერთიც იყიდის იმდენს კახურს ღვინოს, რომ კახურმა ღვინომ შეადგინოს ერთი მეათედი იმ ღვინისა, რასაც მოვაჭრე გაასაღებს.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების ღვინის სარდაფი კი შეიცავს მარტოდ მარტო კახურ ღვინოს, ამიტომ ეს ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელიც მარტო კახურ ღვინოსა ჰყიდის. ამ დაწესებულების საქმე ისეა, რომ სხვა ღვინის გაყიდვა დიდ სარგებლობასაც რომ აძლევდეს, არ შეუძლიან. იმ ღვინის ნაათალსაც ვერ ასაღებს, რაც წევრებიდან შემოდის. აბა, როგორ შეიძლება სხვა ღვინო ყიდოს, როცა თავისიც წლითი-წლობამდის გასასყიდი რჩება. თუ ვაჭრობა გაუვრცელდება, ახალ წევრებს მიიღებს. მაგ., წელს ისე კარგად წასულა ამ საზოგადოების საქმე, რომ 23 წევრის მიღების ნება მისცა საზოგადოებას. მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ რავდენადაც ვაჭრობა გაიზრდება, იმდენად წევრთა რიცხვი იმატებს. დადგება დრო, როცა მთელი კახეთი ამ საზოგადოებას შეადგენს. მაშინ კახური ღვინო მარტო ამ საზოგადოებას ექნება, ან რამდენიმე საზოგადოება იქნება და მაინც ღვინო ამათ ხელში მოგროვდება. აი ეს გარემოება აფიქრებს ბევრს კახეთის „კეთილის მოსურნეს“ და ავრცელებინებს ჭორებს „საზოგადოება“-ზედ.

ნადიკვრელი

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან“)

31 იანვარი.

პეტერბურგი. 31 იანვარს დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე წავიდა მოსკოვში.

ფეოდოსია. ნება დართულია გამოიცეს კერჩში ყოველ-დღიური გაზეთი „იუჟნი კურიერი“.

პეკინი. ინგლისის ელჩმა შეატყობინა ჩინეთის რწმუნებულებს, რომ ინგლისის მთავრობა უარს ამბობს მიიღოს უცნობი

მანდარინი ჩჯანფსი, როგორც განსაკუთრებული ელჩი ინგლისისათვის.

ბელგრადი. მეფემ მიჰმართა სერბიის ხალხს პროკლამაციით, რომელშიაც ნათქვამია, რომ მილანის მეფობაში მოხდა ბევრი ღირს-შესანიშნავი და მნიშვნელოვანი ამბებიო. მის მოღვაწეობას ღირსებისამებრ დააფასებს ისტორია, მაგრამ სერბიის ერი მუდამ მადლობელი უნდა იყოს მილანისა დამოუკიდებლობის შეძენისათვის, აღდგენილ სერბიის სამეფოს საზღვრების გადიდებისა და სერბიის კულტურულ აღორძინებისათვის. შემდეგ მეფე სრულს იმედს აცხადებს, რომ სერბიის ერი მონაწილეობას იღებს მის ღრმა მწუხარებაში. ჯარისადმი ბრძანებაში ქებაშესხმულია მილანის განსაკუთრებული დამსახურება ჯარის წინაშე და წინადადება ეძლევა ჯარს არ დაივიწყოს გარდაცვალებულის საპატიო სახელი. ყველა გაზეთები სამგლოვიარო არშიით გამოვიდნენ. დიპლომატიური კორპუსი შეიკრიბა სასახლეში სამძიმრის სათქმელად. ჯარისათვის დანიშნულია სამი თვის მგლოვიარება; თეატრები და სხვა გასართობი ადგილები დახურულია.

პეკინი. დღევანდელ სხდომაზედ ელჩებს ბჭობა ჰქონდათ იმ პასუხზედ, რომელიც უნდა გაეგზავნოს ჩინეთის სასახლეს, რადგანაც უკანასკნელი თანახმა არ არის ელჩების მიერ მოთხოვნილ სიკვდილით დასჯისა. ელჩებმა დაადგინეს, რომ ისინი არ შესცვლიან თავიანთ გადაწყვეტილებას შესახებ დამნაშავე მანდარინების სიკვდილით დასჯისა და ის აზრი გამოსთქვეს, რომ სასურველია დაუყოვნებლივ შეუდგნენ პეკინში საელჩო უბნის გამოყოფას და მოწყობას.

ლიხუნჩანგი დღეს სადარბაზოდ იყო რუსეთის ელჩთან.

სოფია. ერთი ადგილობრივი გაზეთი ამბობს, რომ მთავარ მინისტრ პეტროვის მიერ გამოცემული ბრძანება—მაკედონიის მსროლელ საზოგადოებებმა შესწყვიტონ სამხედრო მოქმედებაო, უნდა მიეწეროს ავსტრო-უნგრეთის მოთხოვნას. მთავრობის ორგანო „სვეტი“ აცხადებს, რომ არა თუ მარტო ავსტრო-უნგრეთს, სხვა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაც არა ერთხელ უთხოვნიათ ამ საზოგადოებათა მოქმედების შეწყვეტა, რადგანაც მათის მიზეზით იროვეოდა მშვიდობიანობა ბალკანეთში.

(იხილე საღამოს დეპეშები მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ გერმანიაში მოვიდა ბურების გენერალი დევეტის ძმა ბოდეოგნიკი დევეტი და საერო კრებებზედ დაპარაკობს შესახებ იმისა, თუ რა საზარელის უდიერობით ექცევიან ბურებს ინგლისელები. ინგლისელები თურმე რადაცნაირი მხეცური გულ-ქვაობით ეხრჩებენ ბურების სარდლების ქონებას. არც თუ სხვა ბურების სარჩოსა ჰზოგავენო. ერთმა ინგლისელმა ოფიცერმა ცეცხლი წააკიდებინა ერთი ბური დედაკაცის ფერმისათვის, მერმე დედაკაცს წაართო ფოტოგრაფიული სურათი იმისი შვილისა, რომელიც დედისმიტთან ბრძოლაში მოეკლათ, და გადაგდო ცეცხლის ალში. მეორე ინგლისელმა ოფიცერმა ხელი მოსჭრა ერთ ტევე ბურს. ბურების დედაკაცების ერთი მესამედი მაინც გუპატიურებულია ინგლისელებისაგან. გენერალ დევეტის ფერმაზედ ინგლისელებმა გახსნეს შეკრული არხი და მთელი ფერმა წყალს მისცეს. იმათ უნდოდათ ამით ძალა დაეტანებინათ და ბოდიში მოეხდევინებინათ დევეტის ვაი-ვილისათვის, რომელსაც ეთქო, რომ ინგლისელ ჯარის კაცებს ნამუსი და სინიდისი არა აქვთო.

✿ ინგლისელებმა დინდეის, სენეკალის და რეიცის მცხოვრებლები გარეკეს ამ ქალაქებიდან. ეს განკარგულება იმას მოასწავებს, რომ ინგლისელებს ეშინიათ მშვიდობიანი ხალხი არ აჯანყდეს და ანუ რაიმე შემწეობა არ აღმოუჩინოს მეომარ ბურებს, რომელნიც აბირებდნენ ამ ქალაქებზედ იერიშით მოსვლას.

✿ როგორც ამას წინათ გაზეთები იუწყებოდნენ, ბურები ზღვის პირ-პირ მიდიან კაპშტადტისაკენაო და ნავთ-სადგური ლამბერტი კიდეც დაიპურესო. ინგლისელებმა ამ ნავთ-სადგურში სამხედრო გემი «სიბილ»-ი გაგზავნეს. როგორც დეპეშები აღრეკვაც იუწყებოდნენ, ეს გემი, მისული თუ არა ნავთ-სადგურ ლამბერტთან, ზღვაში დადუპულა. ეხლა გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისელებმა ამ გემის ზარბაზნები გადაარჩინესო.

✿ ტელეგრაფის მუშაობა და დეპეშების გზავნა გერმანიის სამეფოებიდან სამხრეთ-დასავლეთ-აფრიკაში (ნამაკვალინდში), როგორც «ბერლინერ ტაგებლატი» იუწყება, უკვე ორი კვირაა, რაც შეწყვეტილია, რადგანაც ბურებმა ტელეგრაფის მავთულები დასჭრეს და დაწყვიტესო.

✿ ინგლ. გაზ. «დეილი ნიუს» ამ ნაირად ასურათებს სამხედრო საქმეების ეხლანდელ მდგომარეობას სამხრეთ-აფრიკაში:

«უაზრობა იქნება ავიხიროთ და ვსთქვათ, ვითომც ჩვენ ვუახლოვდებოდეთ ჩვენს მიზანს. პირ-იქით ეს მიზანი თანდათან უფრო გაშორდება და სიძნელე და გაჭირება უფრო და უფრო მეტი გვიჩნდება გზაზედ. ჩვენ გიყურებენებას ვეძლევით, ვითომც სამხრეთ-აფრიკა თანდათან ჩვენი ხდებაო. ნამდვილად კი სულ სხვაა. დღესავით ნათელი და ცხადია ის ამბავი, რომ სამხრეთ-აფრიკა ხელიდან წაუვიდა ინგლისს».

✿ ინგლ. გაზ. «მანჩესტერ გვარდიან»-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია კაპშტადტიდან, 17 იანვრის რიცხვით:

«ინგლისის სამხრეთ-აფრიკის ახალშენების მკვიდრ მცხოვრებთა შორის საშინელი შიმშილობაა. მკვიდრნი ომის წინად ერთ მილიონ გირვანქა სტერლინგს შოვობდნენ მუშაობით, ეხლა კი ომის გამოისობით ისინი უსაქმოდ არიანო. აღგილობრივ გაზეთ «იმეო»-ში ნამბობია, რომ ერთმა ზანგის დედაკაცმა, შიმშილით შეწუხებულმა, თავისი საკუთარი შვილი მოკლა და შეჭამაო; ეს დედაკაცი ეხლა ციხეშია დატუსაღებულიო. ხმა დადის, რომ მკვიდრნი მხოლოდ ბალახების ძირებით იკვებავენ თავსაო».

ესეც კიდევ ერთი შედეგი ინგლისის იმპერიალიზმისა.

✿ ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან: «ლონდონის კონსერვატორების კლუბში ედუარდ კლარკმა მეტის-მეტად საუურადღებო სიტყვა წარმოსთქვა. კლარკმა განაცხადა, რომ რაწამს ბურებს კაპის ახალშენიდან გახდევნიან, მაშინვე უნდა შეიკრას საპატიო ზავი, სრული ამნისტია გამოცხადდეს და აღდგენილ იქმნას წინანდელი დამოუკიდებლობა სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებისაო.

გაზეთმა «დეილი ნიუს»-მა დიდის თანაგრძნობით მიიღო კლარკის სიტყვა».

✿ როგორც გაზეთები იუწყებიან, პრეზიდენტ კრიუგერსაც მოსვლია დეპეშა შესახებ იმისა, რომ ბურებმა კომანდანტსა და დელაგოას შუა რკინის გზა ხელში ჩაიგდეს და დანგრიესო.

✿ გაზეთები ყურადღებას აქცევენ ლორდ კიტჩენერის ბოდონდელ დეპეშებს და ამბობენ, რომ მთავარ-სარდალი თავის დეპეშებს ისე ბუნდად, ისე ორჭოფად სწერავს, რომ მკითხველს ვეღარა გაუგია-რაო. მას შემდეგ, რაც სამხედრო მოქმედება ტრანსვაალსა და ორანჟეს რესპუბლიკებში გადაიტანეს, ინგლისელებმა ურიცხვი დეპეშები გამოგზავნეს, რომელნიც აუცილებლად ამ ნაირად თავდებოდნენ: «ბურები გაიქცნენ, ბურებმა უკან დაიწიეს». ან ამნაირი: «მოხდა ძლიერი ბრძოლა, ჩვენ მოგვიკლეს ერთი კაცი, ხოლო ბურების ზარალი ძალიან დიდია». რადა დიდი ბრძოლაა, სადა ერთი კაცის მეტი არა კვდებაო. კერძო დეპეშები რომ არ მოდიოდეს, სულაც არაფერი გვეცოდინებოდა შესახებ სამხრეთ აფრიკის საქმეებისაო. მაგალ. კიტჩენერი იწერებოდა, რომ პრეტორიასა და იოჰანესბურგის ახლოს ბურების რაზმები ადარ დარჩაო. მაგრამ ინგლისელი ჯარების დამარცხება მოდერფონტენთან და მთელი მეცხოვნე რაზმის ტყვედ წაიყვანა ბურების მიერ გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი ბური დგას ხსენებულ ქალაქებთან, რომ ბურების ძალა ამ ადგილებში არ შემცირებულა მას შემდეგ, რაც ამათ კაპის ახალშენში გაგზავნეს ბევრი რაზმები.

დევეტის შესახებ ტუიდების წერას ხომ ბოდო არა აქვსო. ამ დღეებში კიტჩენერი იწერებოდა, რომ დევეტი ტაბანჩუს ჩრდილოეთით დგას თავისი რაზმითაო, მაგრამ ნამდვილად კი დევეტი შორს ეოფილა ამ ადგილიდან სამხრეთით, კაპის ახალშენის ახლო. ხსენებული დეპეშის სიცრუე თითონ ინგლისის სამხედრო სამინისტრომ ადიარა და ამ დღეებში გამოაცხადა, რომ ეს დეპეშა ტელეგრაფის შეცდომას უნდა მიეწეროსო. ზოგიერთი გაზეთების აზრით დევეტი ეხლა უკვე კაპის ახალშენშიაც არის გადასულიო. თუნდაც რომ არ იყოს ჯერ გადასული, ბევრს იმედი აქვთ, რომ დევეტი თავის სიტყვას ძირს არ დასცემს და უსათუოდ შეიჭრება კაპის ახალშენში; მართალია, გუშინდელი დეპეშა გვაუწყებდა, რომ დევეტს ხუთი რაზმი მისდევს კვალ და კვალ, რომ უკვალ ფონების გასავალთან ჯარები ჭდარაჯობენ და ნადებია გაკეთებულია, მაგრამ დევეტი ის კაცი არ არის, რომ უსათუოდ ფონი უნდოდეს, ის რამდენისამე თვის წინადაც ორჯერ გავიდა ძალზედ ადიდებულ კალედონში; დევეტს ზღვაშიც ხომალდი არ უნდა, მოუტურდება—გავაო ხოლო თუ კაპის ასალშენში გადავიდა ეს ჩვენი დროის პირველი გმირი, რომელმაც მოაჯადოვა, მოხიბლა და მთელი ევროპიელობის გული მიიზიდა, მაშინ, როგორც გაზეთები იუწყებიან, კაპის ახალშენის მცხოვრებლები ვეღარ გაუძღებენ დევეტის მოხიბლავ ძალას და როგორც ერთი კაცი, ისე აიშლებიან, ზღვის ტალღებივით აზვირთდებიან... და მაშინ ინგლისიც სამუდამოდ უნდა გამოესალმოს სამხრეთ-აფრიკის ახალშენებსაო.

მოვიცადოთ პატარა და ვნახავთ რით გადასწყდება ეს სასიკვდილო ბრძოლა ინგლისურ იმპერიალიზმსა, ლაგამ წაურილ კაპიტალიზმს და ერთი მუჭა გმირი გლეხკაცობის შუა.

✿ ინგლისური ხმელთა შუა ზღვის ესკადრის მეორე უფროსი ლორდ ჩარლზ ბერესფორდი ცოტა ხნით ლონდონში მისულა დედოფალ ვიქტორიის გარდაცვალების გამო. ბერესფორდს დაპარაკი ჰქონია ერთ ჟურნალისტთან, უაიტთან, რამდენიმე მწარე სიმართლე გაუმეტყველებია შესახებ ინგლისის ფლოტისა და ნებაც მიუცია ამ ჟურნალისტისათვის, რომ იმისი ნათქვამი გაზეთებში გამოაცხადოს.

«მივდივარ ინგლისიდან და თან მწარე ნადველი და შიში მიმეყება ინგლისის ფლოტის შესახებ,—უთქვამს ლორდს;—ის მწარე გაკვეთილი, რომელიც ინგლისის ჯარმა სამხრეთ-აფრიკაში მიიღო, შეიძლება მიიღოს ინგლისის ფლოტმაც, რა წამსაც პირველი დიდი ომი მოუხდება ზღვაში, და მიიღოს სწორედ იმავე მიზეზების წყალობით, რომელთაც ასე დაამცირეს ინგლისი სამხრეთ-აფრიკაში».

✿ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ნამოფომა კლიველენდმა ნიუ-იორკში, «ჭოლანდიურ საზოგადოებაში» წარმოსთქვა სიტყვა. კლიველენდმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამერიკელებმა უდალტეს ძველ ჭოლანდიელების კონსერვატიზმს, რომლის მეოხებითაც დაარსებული და დამყარებულია შეერთებულის შტატების კონსტიტუცია (უნდა ვიცოდეთ, რომ ნიუ-იორკში და ამ ქალაქის შტატში პირველად ჭოლანდიელები დასახლდნენ, ისინი დიდ რიცხვსაც თამაშობდნენ ამერიკის განთავისუფლების საქმეში, ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვთ იმათ შთამომავლებს, რომლებსაც დღემდე ეტყობათ თავიანთი ეროვნული თავისებურობა). უგზო-უკვლოდ, უანგარიშოდ მხოლოდ ეროვნულის სიხარბით გატაცებულები შეუდგნენ ამერიკელები შორეულ და სახიფათო გზას. გაჭირა ძველი სიყვარული მშვიდობიანობისა, პატიოსნებისა და უფლებისადმი. იმის მაგივრად, რომ შეეკრათ ერთმანეთში პირობა სამედიატორო სამართლისა და ამით გზა გაეკაფათ სამსოფლიო ზავისაკენ, ორივე ინგლისელმა ერმა (ინგლისმა და ამერიკამ) დაიწყეს ომები ქვეყნების დასაპყრობად, ორივე ხალხების ამოწყვეტას შეუდგნენ, რათა იმათი მიწამამული ხელში დაიჭირონ. მხოლოდ იმის გამო, რომ ამერიკელები თვითონაც გაებნენ ფილიპინების კუნძულებზედ ისეთ სამარცხვინო ომში, როგორც ინგლისელები სამხრეთ-აფრიკაში, გმირ-ბურებს მოაკლდათ ის ანაგრძობა, რომელსაც ამერიკელები ეოველთვის უცხადებენ ერთგულ [illegible] ბრძოლისა მებრძოლ ერებს.

ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი

✦ ქ. ასტრახანიდან „ნოვ. ობოზ.“ შემდეგ ამბავს სწერენ: იმ დროს, როდესაც საქართველო შეუდგა მზადებას რუსეთთან შეერთებიდან ასის წლის შესრულების გამო, საიუბილეო დღესასწაულის მოსაწყობად კარგი იქნებოდა მოეგონებინათ ღვთისანაბარად მიტოვებული და მივიწყებული საფლავები საქართველოს ორი მეფის თეიმურაზისა და ვახტანგისა, რომელნიც სხვა და სხვა პირობებისა გამო თვის სამშობლოს გარე დაძრწოდნენ და, ბოლოს თავიანთი სამეფო ძვლები ასტრახანში მიაბარეს მიწას. ამ რამდენისამე ხნის წინად კიდეც ზოგიერთმა ვაჟბატონებმა განიზრახეს ძეგლების მეფეთა სასფლაოდან აღება და მათი სრულიად მივიწყება და მიწასთან გასწორება.

✦ „კავკაზ“-ის რედაქტორად ნამყოფი ი. ნ. მილიუტინს განუზრახავს გამოსცეს რუსულს ენაზე საუკეთესო ნაწარმოებები ჩვენის ხელოვნურის ლიტერატურისა მე-XIX საუკუნეში. ამ აზრის განხორციელებისათვის უკვე შემდგარა კომიტეტი, რომელმაც უნდა აირჩიოს გადასათარგმნი ნაწარმოებები. ვისურვოთ, რომ ბ. მილიუტინს კეთილად შეესრულებიოს ეს მშვენიერი განზრახვა.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ ქუთაისის ქალაქის თავად ასახელებენ მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭოს თავმჯდომარეს გ. ფ. ზდანოვიჩს.

✦ შაბათს, 3 თებერვალს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გამართული იქნება ქართული სახალხო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება გ. ერისთავის კომედია „გაყრა“.

✦ ფინანსთა სამინისტროში მზადდება პროექტი რუსეთის ნავთ-სადგურების არსებულ მართვა-გამგეობის შესახებ. პროექტი დამტკიცების შემდეგ ნავთ-სადგურების მართვა-გამგეობა გადავა შინაგან საქმეთა სამინისტროდან ფინანსთა სამინისტროს უწყებაში. გარდა ამისა პროექტით შემდეგი ცვლილება უნდა მოხდეს ამ საქმეში: სანავთ-სადგურო საქმეების საბოლოო გადაწყვეტა მიენდობა სანავთ-სადგურო უმთავრესს საკრებულოს, ფინანსთა მინისტრი ამხანაგის (მრეწველობის და ვაჭრობის საქმეთა გამგე) თავმჯდომარეობით; ეს საკრებულო შესდგება სამინისტროების (საზღვაო საქმეთა, გზათა, შინაგან საქმეთა, სამხედრო და იუსტიციის სამინისტროების) წარმომადგენლებისაგან; შეიძლება საკრებულოში მოიწვიონ ზოგიერთი კითხვების გადაწყვეტის დროს აგრეთვე ადგილობრივ ქალაქის თვითმმართველობის და ვაჭრების წარმომადგენელნი და აგრეთვე სხვა პირებიც; მიწვეულ პირებს ექნებათ ხმა საქმის გადაწყვეტაში. ადგილობრივი გამგეობა სანავთ-სადგურო საქმეებისა მიენდობა ორ დაწესებულებას—სანავთ-სადგურო გამგეობას (გამგეობის უფროსი, ეხლანდელ ნავთ-სადგურის კამანდირის მაგიერ, მისი თანაშემწენი, ტეხნიკები და სხვ.) და სანავთ-სადგურო საქმეების განსაკუთრებულ საკრებულოს, რომელიც შეიკრიბება ხსენებულ გამგეობის უფროსის თავმჯდომარეობით და რომლის წევრები იქნებიან: საზღვაო, საფინანსო, გზათა და შინაგან საქმეთა უწყებების წარმომადგენელნი, ქალაქის თავი, ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე, ვაჭრობისა და მანუფაქტურის თავმჯდომარე და ვაჭრების ორი წარმომადგენელი. ამ საკრებულოს დადგენილება შევა ძალაში, თუ ექვსი კვირის განმავლობაში უმთავრესმა საკრებულომ არ დაარღვია იგი. გამგეობის უფროსს შეუძლია, თუ ამას საჭიროება მოითხოვს,

სისრულეში მოიყვანოს ადგილობრივ საკრებულოს დადგენილება მანამდე, სანამ ამას უმთავრესი საკრებულო დაამტკიცებდეს; აგრეთვე მას შეუძლია შეაჩეროს ძალაში შესულ დადგენილების მოქმედება, თუ იგი, მისის აზრით, უკანონოა და არ ეთანხმება მის აზრს და წარუდგინოს კითხვა უმთავრესს საკრებულოს (ეხლა კი ეს უფლება გუბერნატორებს აქვთ). საზოგადო დაწესებულებათ და კერძო პირებს, რომელთა ინტერესებს შეეხება ადგილობრივ საკრებულოთა დადგენილება, შეუძლიათ იჩივლონ უმთავრეს საკრებულოში და უმთავრესს საკრებულოზედ კი—სენატში.

✦ არსებულ კერძო ლომბარდების რევიზიამ ერთი საინტერესო საქმე აღმოაჩინა: მევახშეობაზე ახალი კანონების გამოცემის გამო ბევრი კერძო ლომბარდი დაიხურა და გამოუსყიდავი ნივთები გაიყიდა. კანონით, რაც მეტი შემოვიდა გირაოდ გაცემულ ფულზე, ის ნივთების პატრონების უნდა იყოს. ეხლა განზრახვა აქვთ მოსთხოვონ დახურულ ლომბარდების პატრონებს მათი საქმის წიგნები, გამოარკვიონ გადამეტებულ ფულების რაოდენობა და შეიტანონ ეს ფული საქველ-მოქმედო დაწესებულებათა სასარგებლოდ.

✦ ოთხშაბათს, 31 იანვარს, ტფილისის ქალაქის გამგეობას ჰქონდა სხდომა, რომელზედაც მსჯელობა ჰქონდა ავჭალის ცხენის რკინის გზის კონტრაგენტების წინადადებაზედ შესახებ ხსენებულ ცხენის რკინის გზის შეერთებისა უსახელო საზოგადოების ტრამვაისთან. კონტრაგენტების წინადადება იყო ან 30 წლის განმავლობაში გადეხადათ ქალაქისათვის 125 ათასი მანეთი, ან ერთბაშად შეეტანათ 60 ათასი მან., რასაკვირველია, გარდა იმ ყოველ წლიური გადასახადისა, რომელიც უნდა უხადოს ქალაქს უსახელო საზოგადოებამ ტრამვაის ერთიან შემოსავლიდან. ქალაქის გამგეობამ დაადგინა—მიეცეს ნება ყორღანოვსა და ალიბეგოვს შეუერთონ ავჭალის ტრამვაი უსახელო საზოგადოებასა იმ პირობით, რომ კონტრაგენტებმა ნებართვის მიღებისათანავე წარმოადგინონ 60,000 მ.; თუ რაიმე მიზეზის გამო ეს შეერთება არ მოხდება, კონტრაგენტებს დაუბრუნდებათ მათი ფული. ამ უკანასკნელი მუხლის წინააღმდეგია ტრამვაის კომისიის თავმჯდომარე ბ. სულხანოვი, რომლის აზრით, კონტრაგენტებს, თუ შეერთება არ მოხდება, შემოტანილ ფულიდან უნდა დაუკავონ 11,000 მან.

✦ როგორც ვიცით, თუ ქალაქი არ მიიღებს გარდაცვალებულ ნ. ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევ ქონებას დავრდომილთათვის თავშესაფარის გასამართავად, მაშინ ეს ქონება უნდა მიეცეს კათოლიკების ფერისცვალების ეკკლესიასთან არსებულ ძმობას. ხსენებულ ეკკლესიის წინამძღვარი შეჰკითხებია ეხლა ქალაქის გამგეობას, თუ რა მდგომარეობაშია საქმე. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ საბჭომ აირჩია კომისია განზრახულ თავშესაფარის მოსაწყობად და მაშასადამე აზრათაც არ მოსვლია უარი ეთქვა ნაანდერძევზე.

✦ როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე ცხვედაძე გადააყენეს სამსახურიდან ფოსტით გასაგზავნ ფულების გაფლანგვის გამო. ეხლა ტფილისიდან გაუგზავნიათ მოხელე ამ საქმის გამოსაძიებლად.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში 27 იანვარს ტფილისის მოქალაქის ელისაბედ ჩაფიძის სახლი გაუტეხია ვიღაც ბოროტგანმზრახველს, საიდანაც გაუტანია 2 ხალიჩა 80 მანეთად ღირებული. პოლიციის მოხელეს ბ-ნ მაჰავარიანს კარგა ხნის გამოძიების შემდეგ ქურდი უკვე შეუპყრია, რომელიც აღმოჩენილა ტფილისის მოქალაქე ბაგრატ დარჩიას ძე ბაგინოვი; ბაგინოვი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

ტფილისის სადურგლო ამხანაგობის კრებები.

წარსულ 1900 წლის დეკემბერში ტფილისის სადურგლო ამხანაგობას ორჯელა ჰქონდა სხდომა თავის საქმეების განსახილველად: სხვათა შორის, მთავრობისაგან ახლად დამტკიცებული წესდების შემოღებაზედაც იქონია მსჯელობა და ორჯელვე საზოგადო კრება იმ აზრს დაადგა, რომ წესდება ყველა წევრებს, ვინც წესდების შემოღებამდინ ამხანაგობის წევრად ითვლებოდა, ერთნაირ უფლებას აძლევს იმის მიუხედავად სრულად აქვს შემოტანილი წევრს თავის საწევრო ფული 25 მანეთი, თუ ეს საწევრო ფული ჯერ კიდევ სრულად არა აქვს შეტანილი ამხანაგობის კასსაში. ორთავე კრებაზე ხელოსნებმა თითქმის ერთ ხმივ განაცხადეს, რომ, ჩვენის აზრით, წესდება ყველა წევრებს ერთნაირ უფლებას აძლევს და ჩვენი სურვილიც ეს არის, რადგან ბევრს წევრს ეხლავე ფულის შემოტანა არ შეუძლიან, რომ თავისი საწევრო ფული შეასრულოს და ამისთანა წევრებს რომ ხმა წავართვად საზოგადო კრებაზე, ეს უსამართლობაც იქნება და შეიძლება ხმის წართმევამ დიდი ზარალიც მოგვცეს და ვერც თითონ ამხანაგობა შესდგეს ახალი წესდების ძალითაო. ბ. ა. ახნაზაროვმა და ს. ტარიელოვმა მაშინვე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ხელოსნებს და ამტკიცებდნენ, რომ საზოგადო კრებაზე, ახალი წესდების ძალით, მხოლოდ იმ წევრებს აქვთ ხმა, რომლებსაც საწევრო ფული 25 მ. სრულად აქვთ შემოტანილი. კრების უმეტესობამ ძლივს დაიმორჩილა მაშინ ეს ორი მოწინააღმდეგე და შეიყვანა ძალაში მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება. წელს იანვარში კიდევ ორი კრება ჰქონდა ამ დურგლების ამხანაგობას, და ეხლა კი ა. ახნაზაროვი და ს. ტარიელოვი აღარ ემორჩილებიან არავითარ კრების დადგენილებას და ყველას უკანონოთა სთვლიან, რადგან, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, კრებაზე ყველა დამსწრე წევრები იღებენ მონაწილეობას. ა. ახნაზაროვს მთელი წერილიცა ჰქონდა დაბეჭდილი „ივერიის“ 21 №-ში, რომელშიაც, წესდების მე-15 და მე-18 მუხლების ძალით, ამტკიცებს ზემოხსენებულ თავის აზრს, მაგრამ, საზოგადო კრებებზე ხელოსნებმა დაშორებით უფრო საფუძვლიანად დაუმტკიცეს თავისი აზრი, როგორც წესდების მე-15 და მე-18 მუხლებით, აგრეთვე თავისი საქმის სარგებლობის მხრივაც. ბ. ა. ახნაზაროვი და ს. ტარიელოვი კი მაინც თავისას გაიძახიან და მთელი საზოგადო კრების აზრსა და დადგენილებას არ ემორჩილებიან, რითაც დიდს უსიამოვნებასა და არეულობას იწვევდნენ კრებაში. იმათ მხარეს გადავიდა ორი სხვა ამხანაგობის წევრი ინტელიგენტიც და როდესაც უკანასკნელ 28 იანვარს შემდგარ სხდომაზე კრებამ ერთხმივ (გარდა ოთხი ინტელიგენტისა) დაადგინა ყველანი თანასწორნი ვართო, მაშინ ა. ახნაზაროვმა და ს. ტარიელოვმა განაცხადეს: ჩვენ, როგორც გამგეობის წევრნი, ამ უკანონო კრებას აღარას მოვახსენებთო, ისე რომ სმეტა ამ წლისა და სხვა საგნები, რომელიც კრებას უნდა მოხსენებოდა, აღარ მოხსენდა, რადგან ყველა წიგნები, ანგარიშები და ქაღალდები სულ ს. ტარიელოვის ხელშია და იმის გარდა მხოლოდ ა. ახნაზაროვს შეეძლო ამ საქმეების მოხსენება და რაკი გამგეობის ამ ორთავე წევრებმა უარი სთქვეს განსახილველად საგნების მოხსენებაზე, ყველა საქმები უნდა გადადებულიყო და გამგეობის დანარჩენ წევრებს უნდა ეშოვნათ შემდეგი კრებისათვის კაცი, რომელსაც შესძლებოდა ყველა საქმეების მოხსენება. მე, ჩემი მხრივ, ყველაფერში ვეთანხმები კრების გარდაწყვეტილებას და რაც თავმჯდომარეს უფლება აქვს, ყველა ვიხმარე, რომ ეს მოწინააღმდეგე წევრები დამემორჩილებინა კრების დადგენილებისათვის. მაგრამ ისინი ისე ბეჯითად გაიძახიან თავისას, თითქო, მართლა, იმათ მეტს საღი მსჯელობა აღარავის ჰქონდეს. თავისი სიტყვებით ეს ორი გამგეობის წევრი მუდამ შეურაცხყოფას აყენებდნენ ხელოსნებს, ისინი თავის მხრივ პასუხს აძლევდნენ შეურაცხყოფითვე და კრებაზე შეუძლებელი გახდა წესის ჩამოგდება. ამ კრებას შემდეგშიაც ეს დღე მოელის, თუ იმათ არ დაესწრნენ ისეთი გავლენიანი პირნი ჩვენი საზოგადოებისა, რომლებისაც მოწინააღმდეგე წევრებს ან მორიდება ეჭნებათ, ან იმისი შიში, რომ ეს დამსწრენი იმათ სიტყვასა და მოქმედებას საქვეყნოთ გამოამჟღავნებენ.

რაც შეეხება გაზეთ „კვალის“ შენიშვნას, რომ ინტელიგენციას დურგალთა ამხანაგობაში წევრობის უფლება არა აქვს, ეს აზრი „კვალს“, როგორც ეტყობა, წესდების მე-17 მუხლიდან გამოუყვანია, მაგრამ წესდებაში არის სხვა ადგილებიც, რომლებიც საქმეს ცოტა სხვაფრივი ხსნიან და თუ მხოლოდ მე-17 მუხლს მივიღებთ სახეში, მაშინ ამხანაგობის წევრებად დარჩენა მხოლოდ იმ 10—17 კაცს შეუძლიან, რომლებიც შიგ საამხანაგო ქარხანაში მუშაობენ და დანარჩენი ასი წევრი კი, როგორც დურგლები, აგრეთვე სხვანიც უნდა ამხანაგობიდან გამოვიდნენ და თუ დღეს, როცა 110—115 კაცის საწევრო ფული მუშაობს, საამხანაგო ქარხანა კიდევ დიდ გაჭირვებაშია, როცა ამხანაგობას მხოლოდ 10—17 კაცის საწევრო ფული-ღა დარჩება, მაშინ როგორ უნდა აწარმოვონ საქმე? სადურგლო ამხანაგობისათვის ყოველთვის საჭიროა ორი-სამი კაცი ინტელიგენტი, რადგან იქ ბევრი იმისთანა საქმე აქვთ, რომლებსაც თითონ ხელოსნები ვერ გაუძღვებიან. და თუ უკანასკნელ კრებებზე ინტელიგენციამ ეს იმედი ვერ გაუმართლა ხელოსნებს, ეს პირადად იმ ინტელიგენტების ბრალია, რომლებიც დღეს იმათ საქმეში ურევიან და არა აქვთ საკმაოდ თავაზიანობა და პატივისცემა თავის მოწინააღმდეგეთა აზრისა.

ლ. ფურცელაძე.

პროვინცია

ქუთაისი. ქუთაისის საბჭოს 29 იანვრის კრება დაიწყო 8 საათზე გამგეობის წევრის ბ. ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით. უკანასკნელ სხდომის ოქმის დამტკიცების შემდეგ კრებამ მოისმინა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწერილობა დარიბთა და დატაკთა მზრუნველობის მოწყობის შესახებ. მინისტრის ქალაქდში მოუგზავნიდა აგრეთვე სამაგალითო წესდებაც საქალაქო სამზრუნველოებისა. რადგანაც ქალაქის გამგეობას ჩვეულებრივ არავითარი მოხსენება არ წარმოუდგენია ამ საურადღებო საქმის შესახებ, საბჭომ, თანხმად ხმისან ნაზაროვის წინადადებისა, დაადგინა—დაევალოს ქალაქის გამგეობას ქუთაისში დარიბთა მზრუნველობის საქმის მოწყობის შემუშავება ერთად სხვა არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოებებთან.

შემდეგ ამისა საბჭომ განიხილა სხვა-და-სხვა თხოვნები დახმარების და მამულების გადაფასების შესახებ და მოისმინა გუბერნატორის წინადადება ქუთაისის მამულების საერთო ხელახალ დაფასების შესახებ. წარსულ წელს იყო ამორჩეული საბჭოსაგან კომისია, რომელსაც, თანახმად გუბერნატორის მოწერილობისა, დაევალა ინსტუქციის შემუშავების საქმე. კომისიამ შეამუშავა ინსტრუქია და საბჭომაც მიიღო ის წარსულ ოქტომბერში. გუბერნატორის შეხედულებით, ინსტრუქციაში აღნიშნული ხარჯის რაოდენობა გადაჭარბებულია და არ დაამტკიცა იგი. ქალაქმა გასასჩივრა ეს საქმე. ეხლა გუბერნატორმა მიიღო ქალაქის საბჭოს მამულების გადაფასების დაწყება და ამისათვის კომისიის არჩევა, რადგანაც, იმის აზრით, გასასჩივრება მამულების გადაფასებას არას უშლის. საბჭომ სხვა გვარად შეხედა საქმეს და დაადგინა ქუთაისში მამულების გადაფასების შეჩერება, სანამ საჩივარი არ იქნება გარჩეული.

ამის შემდეგ საბჭომ მოახდინა არჩევნები ქალაქის თავის მოადგილისა და უფროსი ბანკში ი. გ. ჩიმაკაძეს, რომელიც აირჩია ქალაქის თავად მოადგილეთ 36 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-სა. გამგეობის წევრად ბ. ჩიმაკაძის მოადგილეობისათვის მიეცემა სამსაჯო [illegible] ქალაქ[illegible]

და ბოლოს საბჭომ [illegible] ქალაქის [illegible] ხსენებისა მოუმატა ხორცის ნახრს და დანარჩენი საქმეები გადადვა ოთხშაბათისთვის. გადადებულ საქმეთა შორის საეურადღებო ქუთაისში წყლის მიღის გაყვანის საქმე. ოთხშაბათს მოხსენდება საბჭოს საქმინისტროს შესწორებანი და დამატებანი ქალაქის მიერ შემუშავებულ პროექტისა და ინჟინერი მიხაილოვის აზრი ამ ცვლილებათა შესახებ. ბ. მიხაილოვი თითქმის თანახმაა მიიღოს ყოველივე შენიშვნა საქმინისტროსი, მხოლოდ თხოულობს თავისთვის ცოტა შეღავათს.

დ. მ.

ბათუმი. 30 იანვარს, დღისით, 12 საათზე, აქ მეტად საშიშარი ამბავი მოხდა. ახლად დაარსებულ საქალაქო გიმნაზიის შენობას ცეცხლი გაუჩნდა და გადაიბუგა. ცეცხლის გაჩენის დროს მოსწავლეები ისვენებდნენ: ზოგნი შიგ სკოლაში იყვნენ და ზოგნი საუზმობდნენ. ერთმა მოსწავლე-ქალთაგანმა შეამჩნია, რომ საუზმის ოთახის კუთხეში კვამლი ადიოდა. ეს ამბავი იმ წამსვე გიმნაზიის უფროსს ქალს შეატყობინეს; არ გასულა დიდი ხანი, რომ მთელი შენობა ალიყო კომლით და ცეცხლი გადაედო მთელს შენობას. მოსწავლეებმა ყველამ თავს უშველეს. ამასობაში ხალხიც მოგროვდა და დიდი თუ პატარა ყველა შველას სცდილობდა. დამსწრე ხალხის მეცადინეობით, რაც აყვეჯეულობა იყო სასწავლებელში, სულ გადაარჩინეს. რადგანაც შენობა ორ-სართულიანია და სწავლა მაღალ სართულში სწარმოებს, რაც საკუმები და სხვა რამ იყო, ფანჯრებიდან თოკებით გადმოუშვეს, ასე რომ დიდი პიანინოც კი გადაარჩინეს. ცეცხლის-მქრობელი რაზმი მოვიდა იმ დროს, როცა ცეცხლი ძალიან გაძლიერებული იყო. სახურავი დაიწვა, ცეცხლი ჩამოტეოდა მაღალ სართულში, მაგრამ მაინც იმდენი იმეცადინეს, რომ ქვემო სართულში არ ჩაუშვეს. სამწუხარო და გულ-საკლავი საუერელი იყო, როცა დიდი თუ პატარა მოსწავლეები გულ-ამოსკვნით სტირიდნენ და ყველა თავ-თავის სამოსწავლო ნივთებს დაეძებდა. საბრალონი ისე წავიდნენ სახლში, რომ ქუდიც კი არავის წაჰყოლია.

ცეცხლის ქრობის დროს გადმოვარდა დიდი ფიცარი და დაეცა ერთ ცეცხლის-მქრობელთაგანს და თავი გაუტეხა; დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

დიდი სიმარჯვე გამოიჩინა სამმა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოსამსახურემ; ესენი ყველაზედ უწინ მივიდვენ, რადგანაც გიმნაზიის შენობა ფოსტაზე ახლო არის და, რაც სკამი და სტოლი იყო, სულ თოკებით გადმოუშვეს ზემო სართულიდან. ერთი ამათგანი ავიდა სახურავზე, ხალხმა ცეცხლის საქრობი მანქანის მილი მიაწოდა და ამანაც დაუწყო ქრობა, მაგრამ ვერა უშველა-რა, რადგანაც ამ დროს ზღვის ქარი იყო ამოვარდნილი. ოვითონ კინაღამ ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა, რომ დროზე არ მიეშველებინათ კიბე. დამწვარი შენობა ეკუთვნის აქაურს მდიდარს სომეხს სუკიასს და დაზღვეულიც უნდა იყოს.

ილიკო ანკისელი

ბათუმი. 30 იანვარს საბჭოს სხდომას ბევრი ხმოსანი დესწრო და კარგა ძალი საქმეებიც განიხილეს.

პირველად განიხილეს ელექტრონის ქუჩის საქმე, რომელზედაც დაპირავი ჰქონდათ უკანასკნელ სხდომაზე. საბჭომ ხან-მოკლე კამათის შემდეგ გარდასწყვიტა მიიღოს გამგეობისაგან წარმოდგენილი მოსაზრება. ქუჩაში გამოწეული ორი სახლი ადარ იქნება დანგრეული.. ქუჩის გასასწორებლად გამგეობა მოელაპარაკება იმ მცხოვრებლებს, რომელთა მიწასაც ცოტ-ცოტა მიწა უნდა მოეჭრას ქუჩის ფიწრო თავში, ხოლო თუ ეს პირნი ამაზედ არ დასთანხმდებიან, იმ შემთხვევაში გამგეობა იშუამდგომლებს სათანადო მთავრობის წინაშე საჭირო მიწის კანონით ჩამორთმევას.

ქალაქ ბათუმის ქუჩები გაყოფილია ორ ნაწილად: ერთ ნაწილს ქუჩებისას, რომელნიც ემხრობიან ნავთსადგურს, აკეთებს და კირწყლავს თვით ქალაქი 1/6 კაბ. შემოსავლიდან და მცხოვრებნი თავისუფალნი არიან ამ მხრით ყოველივე ხარჯისაგან. დანარჩენი ქუჩების მცხოვრებლებმა კი ქუჩაც თავის ხარჯით უნდა მოჰკირწყლონ, ტროტუარიც თავის ფულით გააკეთონ და შეკეთებაც მათ აწევთ კისერზედ.

ხმ. ნ. დუმბაძის გამოანგარიშებით, პირველი რიგის ქუჩების სიგრძე 120,000 საჟენია და მეორე რიგისა—35 ათასი. მეოთხედი ნაწილი მცხოვრებლებისა ხმ. ნ. დუმბაძის პირით თხოულობს ამ უსამართლობის გასწორებას. საბჭომ სამართლიანად სცნო აღძრული საჩივარი და დავალა აღმშენებელ კომისიას, გამგეობასთან ერთად გამოანგარიშოს ამა და იმ ქუჩების სიგრძე, მათი შეკეთების საჭირო ხარჯები და წარმოუდგინოს საბჭოს თავისი მოსაზრებანი ამ ხარჯის სამართლიანად განაწილების შესახებ. ბათუმს ახალ-წლიდან მოუმატა ორმოც-და-ერთი ახალი ტრაქტირი, ოც-და-ცამეტი ახალი დუქანი, თერთმეტი ეკვახანა და ექვსი სასტუმრო.

ავადმყოფთა რიცხვი შესამჩნევად მატულობს, ასე რომ შეიძლება მომავალი დიდი საავადმყოფოც ვერ გასწვდეს მათ. მოგვაგს ციფრები იმის შესახებ, თუ რა შემოსავალს მოელოდა ქალაქი საავადმყოფოდან და ნამდვილად რამდენი შემოუდიოდა.

წლები	მოელოდა შემოსავალს:	ნამდვილი შემოსავალია
1894	2832 მან.	3512 მან.
1895	3000 „	3653 „
1896	2423 „	2503 „
1897	3224 „	3403 „
1898	3223 „	3019 „
1899	3067 „	3708 „
1900	2856 „	4597 „ 61 კ.

საბჭოს უნდა კეთრია ამ სხდომაზე ბადისა და ბულვარის რეგიზიის საქმე, მაგრამ ეს ისევ გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

წვრილმან საქმეების გარჩევის შემდეგ საბჭო შეუდგა კამკეობის წევრის არჩევას ბ-ნ ი. ივანოვის ნაცვლად, რომელსაც ვადა ჰქონდა გასულია. კენჭი უყარეს მარტო ბ-ნ ივანოვს, რომელმაც მიიღო 14 თეთრი და 19 შავი.

ამ წერილის წერაში ვაუკვი, რომ უეცრივ ჩვენს თავზედ გადაიარა საშინელმა ქარიშხალმა. მთელი ქალაქი ბუდში იყო გახვეული; სახლების სახურავები ბევრ ადგილას მიჰგდიჯ-მოჰგლიჯა, დასწყვიტა ტელეფონის მავთულები; მიდეწ-მოდეწა ფანრები,; ისე უცნაურად მიგრიხ-მოგრიხა ნავთის უზარ-მაზარი ქვაბები, რომ გოცდებოდით; რამოდენიმე ქვაბებს სახურავებიც კი წაჰგლიჯა.

ქარიშხალს მოჰყვა ცივი ქარი და დრუბელი, და დღეანდლამდის ზავზულის დღეები შეიცვალა უცებ ცივ, წვიმიან დღეებად.

ბ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ უმორჩილესად ნებას მიბრძანოთ, რათა უდრმესი მადლობა გამოუცხადო ამ ბერთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილის გამოდებით თანაგრძნობა გამოუცხადეს ტოდოშის სკოლის შეგირდებს. გთხოვთ დაჰბეჭდოთ სია შემომწირველთა: ბ. მარკოზ წიფლანაძემ 2 მან. ბბ. ასანბეგ ხიდირბეგოვმა, მუშტახ ბეგ მაჩაბელმა, ალექსანდრე მელიქიძემ, ამად ბეგ თუდაშვილმა, მდგდ. იოანე თვეერაშვილმა, მელვითნე ივანე მადრაძემ, მწერალმა დადო წითლანაძემ—თითო მანეთი. ათ-ათი შაური:—ბბ. ნადიმ ბეგ და აიდინ ბეგ მაჩაბლებმა, სოფიო და გიგო შატბერაშვილებმა, მოდა თვალ მოდა მამად ოდიმ, მასწ. ხუციშვილმა. თითო აბაზი:—დასო მელიქიძემ, ირაკლი შატბერაშვილმა, თამარ ხუციშვილისმ, ელენა მელიქიძისმ, ულოვნა ახმად ოდიმ. სამ-სამი შაური:—ნაიბ ამრა ოდიმ, თომა, ბასიკო, ნიკო და პავლე მელიქიძეებმა. ორ-ორი შაური:—არჩილა, საბა, ზაქარა, თედო, ტატო, ივანე, სიდორა, პავლე, დევანოზა, ლონგინოზ, მაქსიმე, გიორგი და ილო მელიქიძეებმა და სიმონა, ივანე და დავით ნადირაძეებმა.

სულ შეგროვდა 15 მანეთი და 35 კაბ. ამ თუდით კამოუწერე ტოდოშის სკოლას 1901 წლისათვის კაზეთი «ცნობის ფურცელი» ეუან. «მოამბე» და «ჯეჯილი»

აგრეთვე დიდი მადლობის დირსნი არიან ბ. ალექსი ივანოვი, რომელიც მუდამ თავისაბიჯის ხელით გვიგზავნის კაზეთს ახალ-ქალაქიდან ს. ტოდოშში და მასწ. გრ. ბურჩულაძე, რომელიც მუდამ გვაწოდებს ახალციხიდან სხვა-და-სხვა ხალხში საკითხავ წიგნაკებს.

მასწავლებელი ტოდოშის სკოლისა

გიგო შატბერაშვილი

საღამოს დეპეშები

1 თებერვალი.

პეტერბურგი. პეტერბურგის საუფლის-წულო ლლქის მმართველი ნიროდი დაინიშნა საუფლის-წულო უწყების უმთავრესის გამგეობის უფროსის თანაშემწედ.

რომი. ახალ კაბინეტს ჯერ არ გაუნაწილებია არჩეულ მინისტრთა შორის სამინისტროების გამგეობა, ხოლო ცანარდელლი, ჯიოლიტტი და პრონეტტი ითვლებიან უმთავრესს წევრებათ.

კალკუტა. პენჯაბში დაარსდა ახალი პროვინცია; ამ ზომით დაუდერაგ ვაზირისთა ტომებზე ხობერის გასავალში დაარსებულია ინგლისის მმართველობა.

მადრიდი. ბევრ ქალაქებში ხალხის მღელვარება ვრცელდება, მომეტებულად კი ბარსელონისა, სანტანდერსა და ვილლანუარში.

ბუხარესტი. მეფე სთხოვს კარპსა, რომ ამ უკანასკნელმა თავი არ დაანებოს სამსახურს.

დურბანი. სტანდერტონსა და გრეილიგსშტადტს შუა სდგას ბურების მცირე რაზმი. თუ მოახელეს ანგრევენ რკინის გზას და ბრძოლაში კი არ გადიან.

ვაშინგტონი. სტატ-სეკრეტარმა გედჯმა თავის სურვილის წინააღმდეგ დაადგინა დაედოს ბაჟი რუსეთის შაქარს. ეს მოხდა თანახმად სახელმწიფო პროკურორის გარდაწყვეტილებასა, რომელმაც ნამდვილად არა სცნო რუსეთის აზრი იმის შესახებ, ვითომც ის არ აძლევდეს ჯილდოს რუსეთიდან გატანილ შაქარზე. ფინანსთა სამინისტრო ყოველ ღონისძიებას მოიხმარს დაარჩაროს საქმის გადაწყვეტა შეერთებულ შტატების სასამართლოთა საშუალებათ.

ნიუ-იორკი რუსეთის შაქარზედ ბაჟის შემოღების შესახებ სტატს-სეკრეტარი გედჯი აცხადებს, რომ მან დანამდვილებით არ იცის რუსეთი აძლევს თუ არა ჯილდოს რუსეთიდან გატანილ შაქარზედ, მაგრამ ის, როგორც სახელმწიფო მოხელე, მოვალეა ყოველი საეჭვო კითხვა ახსნას თავის მთავრობის სასარგებლოდ. საბოლოო გადაწყვეტა ამ კითხვისა შეუძლიან შეერთებულ შტატების საკავშირო სასამართლოს, რომელსაც შეუძლიანთ მიმართონ საჩივრით შაქრის გამტან მოვაჭრეებმა.

ვაშინგტონი. გარეშე საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში მოდის ურიცხვი დეპეშები, რომლით პროტესტს აცხადებენ რუსეთის შაქარზე ბაჟის დადების წინააღმდეგ. თითქმის ყველა ამ დეპეშებში ის არის ნათქვამი, რომ ამისთანა ბაჟი სრულებით მოსპობს ამერიკის შაქრის ბაზარს რუსეთში, სადაც ამ ჟამად დიდ-ძალი შაქარი საღდება და მომავალში იმედია უფრო მეტი გასაღდეს.

კაპუტადტი. აქ შავი ჭირიდ კიდევ გახდა ავად ორი კაცი, ერთი მათგანი მოკვდა.

ბომბეი. შავმა ჭირმა ხელ-ახლად დაიწყო მძვინვარება. წარსულ კვირაში 2000 კაცი იმსხვერპლა; ამათგან შავი ჭირისაგან მოკვდა—922, მაგრამ საეჭვოა, რომ შავი ჭირისაგან მკვდარი მეტია. მკვიდრნი დამშვიდებულნი არიან; მცხოვრებნი ჩვეულებრივ საქმიანობენ.

რედაქტორი	გამომცემელი
ალ. ჭეიანა.	ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 30 იანვარს.

ვექსლის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში	45,92½
პარიზზე 100 ფრანკში	37,40
ლონდონზე ჩეკები	94,90
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	6½—7½

	მყიდვ.	გამყ.	გაყიდ.
4% სახელმწიფო რ ნტა	—	—	96¼
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	99¾	—	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	—	96	—
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	—	—	334
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	—	—	293
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ ბანკისა	—	—	217
3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—	—	89⅛
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—	—	93⅞
4½% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	86⅞	—	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	100	—	—
5% გირავნ. ფ-რც. იმავე ბანკისა	99½	—	—
5% ობლიგაციები ტფ. საკუთ. დიტა საზოგ.	[illegible]		
4½% ობლიგაც. ტფილ. საზოგ. დოებისა	[illegible]		

ნიხრი

ხორცი ძროხისა	1 გ.	8½
სუკი	»	—15
» ცხვრისა	»	—8½
» დორისა	»	—9-11
» კამეჩისა	»	—8
» დორის ბარკალი სადორეთ	»	—14

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედადვეს, კამეჩს—მწვანე, დორს—დამდა).

შური ფურნისა	I ხარ.	1 გირ.	5
» »	II »	» »	3½
» »	III »	» »	3
იგივე თორნისა	I »	» »	5
» »	II »	» »	4
» »	III »	» »	3½
ლავაში ჯვ. მამ.	I »	» »	6
» » »	II »	» »	4

განცხადებანი.

ტელეფონი № 754.

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ახალ-გახსნილ **ხის ნახშირის საწყობში** (ვერის მეიდანზე, ყაფანთან) იყიდება საუკეთესო ღირსების გაცხავებული და მშრალი ნახშირი წონით—ფუთი 40 კაპეიკი.

ვისაც ნებავთ, გამოგზავნონ თავიანთი ადრესი და სახლში მიუტანთ ჩვენის ხარჯით.

სასწორი და ფუთიანი ჭურჭელი შემოწმებულია ქალაქის გამგეობისაგან, ამასთანავე ვთხოვ მყიდველთ, მომტანს მოსთხოვონ საწყობისაგან დაწესებული ბარათი, რომელშიაც აღნიშრული იქნება რაოდენობა ნახშირის წონის და ფასისა.

მიადვილისათვის გამართული გვაქვს ტელეფონი:

(3—3) იაგორ გურგენის ძე მამინაშვილი.

ОТКРЫТА ПРДПИСКА НА 1901 ГОДЪ
на литературный, научный и политическій журналъ

V-й годъ изданія. **„ЖИЗНЬ“.** V-й годъ изданія.

Составъ редакціи и постоянныхъ сотрудниковъ остается въ 1901 г. тотъ же, что и въ два предыдущіе года.

Журналъ выходитъ ежемѣсячно книжками въ размѣрѣ не менѣе 25 печатныхъ листовъ обыкновеннаго формата. Въ каждой книжкѣ помѣщаются иллюстраціи, отпечатанныя на отдѣльныхъ листахъ мѣловой бумаги.

Одна изъ книжекъ журнала 1901 г. будетъ посвящена характеристикѣ XIX столѣтія и будетъ состоять изъ статей по естествознанію, философіи, соціологіи, исторіи, политической экономіи, литературѣ и искусству при участіи г.г.: Андреевича, К. Н. Анненкова, проф. И. И. Боргмана, А. А. Васильева, проф. А. Г. Веселовскаго, проф. Ю. С. Гамбарова, Н. Н. Ге, М. Горькаго, Л. Ѳ. Крживицкаго, проф. И. И. Лапшина, П. П. Маслова, А. А. Никонова, проф. Д. Н. Овсянико-Куликовскаго, Parvus'a, В. А. Поссе, проф. Н. А. Рожкова, Н. А. Рубакина, проф. К. А. Тимирязева, проф. В. Ѳ, Тимофѣева, Е. Н. Чирикова и мн. др.

Книга будетъ иллюстрирована снимками съ картинъ художниковъ XIX в. и портретами ученыхъ.

Въ беллетристическомъ отдѣлѣ журнала принимаютъ участіе слѣдующія лица: М. Альбовъ, Л. Андреевъ, К. Баранцевичъ, И. Бунинъ, А. Вербицкая, Н. Гаринъ, Г. Галина, М. Горькій, Л. Гуревичъ, С. Гусевъ-Оренбургскій, А. Крандіевская, В. Муриновъ, А. Серафимовичъ, Скиталецъ, Б. Степанецъ, В. А. Свирскій, Сѣрошевскій, Н. Тимковскій, А. Федоровъ, М. Цебрикова, Ант. Чеховъ, Е. Чириковъ и др.

Въ научномъ и политическомъ отдѣлѣ „Жизни“ примутъ участіе г. г.: П. Берлинъ, А. Богдановъ, В. Богучарскій, А. Васильевъ, Ю. Гамбаровъ, С. Гарюшинъ, И. Гурвичъ, П. Голубевъ, Д. Жбаковъ, В. Ильинъ, А. Изгоевъ, Инсаровъ, В. Іоновъ, А. Кизеветтеръ, А. Ковровъ, Л. Крживицкій, И. Лапшинъ, A. Labriola, H. Lagarbelle, Е. Лозинскій, П. Масловъ, М. Мензбиръ, Н. Лировичъ, П. Нежданов, А. Никоновъ, Д. Овсянико-Куликовскій, Н. Окуновъ, Parvns, В. Поссе, Д. Протопоповъ, Н. Рожковъ, Д. Сатуринъ, Е. Смирновъ, Е. Соловьевъ, Ю. Стекловъ, П. Струве, Е. Тарле, К. Тимирязевъ, М. Туганъ-Барановскій, Л. Украинка, Е. Чириковъ и др.

Художественнымъ отдѣлѣ журнала ближайшее участіе принимаетъ П. Ге, который въ 1901 г. дастъ рядъ статей объ источникахъ русскаго искусства. Статьи эти будутъ иллюстрированы снимками съ картинъ русскихъ и иностранныхъ художниковъ.

Новые подписчики „ЖИЗНИ“ 1901 г. получатъ безплатно начало повѣсти М. Горькаго: „ТРОЕ“.

Годовые подписчики получатъ въ 1901 г. въ видѣ безплатнаго приложенія научно-популярное сочиненіе отдѣльною книгою.

Подписная цѣна на годъ съ дост. и перес. 7 руб. За границу—10 руб.

Въ виду заявленій со стороны подписчиковъ, вновь допускается разсрочка годовой платы (7 р.) на слѣд. условіяхъ: или 1) при подпискѣ вносится 2 р., къ 1 марта—2 р. и къ 1 іюля—3 р.; или 2) при подпискѣ—4 р. и къ 1 іюля—3 р.; или 3) при подпискѣ—3 р. и къ 1 мая—4 р. Подписчикамъ, не доставившимъ денегъ въ указанные сроки, высылка журнала пріостанавливается.

Книжные матазины могутъ удерживать съ каждаго годового экземпляра 35 к.; подписка въ разсрочку и по частямъ года отъ нихъ не принимается.

Главная контора и редакія: С.-Петербургъ, Знаменская, 20.

(3—3) Редакторъ-издатель **М. С. Ермолаевъ.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 Февраля 1901 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. სამ.-ბისა, ვანქის დიდ ქუჩა, № 27.